

სასახლსი გაზეთი

საქართველიან დამატება

გაზეთის № 444. კვირა, 6 ნოემბერი 1911 წ. დამატების № 78

სოცხალი გვაგი

დრამა 6 მოქმედებად და 12 სურათად

(შემდეგი *)

გ ა მ ს ვ ლ ა IV.

ფედიო. შემოდის თავ. აბრეზკოვი.

თავ. აბრ. მაპატიეთ, უნებლიეთ გავხდი მოწმე უსიამოვნო სცენისა.

ფედიო. ვისთან მაქვს პატივი?.. (იღწახს) ახ, თავადო სერგეი დმიტრიევიჩი! (მიესალმება),

თავ. აბრ. უნებლიეთი მოწმე უსიამოვნო სცენისა. კარგი იქნებოდა, სულ არ გამეგო-რა, მაგრამ რადგანაც გავიგე, მოვალედ ვსთვლი ჩემ თავს მოგახსენოთ, რომ გავიგე. თქვენთან გამომგზავნეს და იძულებული ვიყავ კარებში შეცადნა, ვიდრე ის ბატონები აქედან გავილოდნენ, მით უმეტეს, რომ, მაღალი ლაპარაკის დროს, ველარ გაგაგებინეთ კაოის კაკუნი.

ფედიო. დიახ, დიახ. უმორჩილესადა გთხოვთ, გამდლობთ, რომ თქვენ არ დამიძალეთ. ეგვევ უფლებას მაძლევს აგისხნათ ეს სცენა. თქვენ რაც გნებავთ ის იფიქრეთ, —ეგ ჩემთვის სულ ერთია. მხოლოდ მსურს გითხრათ, რომ ის საყვედური, რომელიც თქვენ გესმოდათ იმ ქალიშვილებისადმი, —ახალგაზდა მომღერალ ქალისადმი, —უსამართლო იყო. ის ისეთივე უმანკოა, როგორც მტრედი, და ჩემი მისდამი დამოკიდებულება მხოლოდ მეგობრულია. თუ ამ განწყობილებას, ცოტა არ იყოს, პოეტური ელფერი სდევს, ეს მაინც და მაინც არა სპობს სისპეტაკეს—სახელს იმ ქალიშვილისას. აი, მე ეს მიჩნოდა თქვენთვის შეთქვა. ახლა კი მითხარით, რა გნებავთ ჩემგან? რით შემიძლია გემსახუროთ?

თავად აბრ. მე პირველად...

ფედიო. მაპატიეთ, თავადო. იმ გვარია ეხლა ჩემი დამოკიდებულება საზოგადოებასთან, რომ ჩემი თქვენთან წარსულში ხან მოკლე ნაცნობობა უფლებას არ მაძლევს თქვენი მობძანებისას, თუ რომ თქვენ სხვა რამე საქმე არა გქონოდათ ჩემთან. რაშია საქმე?

თავ. აბრ. არ ვიუარებ, —თქვენ მიხვლით. მე თქვენთან საქ-

მე მაქვს. მაგრამ მაინც გთხოვთ ირწმუნოთ, რომ თქვენმა შეცვლილმა საზოგადო მდგომარეობამ არ შეიძლება იქონიოს რაიმე გავლენა ჩემს თქვენდამი განწყობილებაზე.

ფედიო. სრულად დარწმუნებული ვარ.

თავ. აბრ. საქმე ეს გახლავთ, რომ ჩემი ძველი მეგობრის ანნა დმიტრიევნა კარენინას შეიქალმა და თვით დედამაც მთხოვეს პირადად თქვენგან გამეგო თქვენი დამოკიდებულების ამბავი... ნება მომეცით ამ საგანზე გულახლით გვლაპარაკოთ. თქვენს განწყობილებაზე მეუღლესთან ელიზავეტა, ანდრეევსთან.

ფედიო. ჩემი ურთიერთობა ცოლთან, —შემიძლია ვსთქვა: ჩემს ნაცოლართან, —სრულად მოსპობილია.

თავ. აბრ. მეც ასე მესმის. და მხოლოდ მაგიტომ ვიკისრე ეს ძნელი შუამავლობა.

ფედიო. ამასთანავე ვეჩქარები დავუმატო, რომ მოსპობილია არა ქალის დანაშაულობით, არამედ ჩემისავე, ან უკეთ რომა ვსთქვათ ჩემის მრავალ-გზის დანაშაულების გამო. ჩემი ცალი კი როგორიც იყო, იმგვარივე დარჩა, ყოველად უმანკო დედაკაცად.

თავ. აბრ. ხო და, ვიქტორ კარენინმა და განსაკუთრებით იმისმა დედამ, მთხოვეს თქვენგანვე შემეტყო, თუ რას აპირებთ მომავალში.


ფედიო. (კატხაჩუბუა). —რას უნდა ვაპირებდე? არაფერს. მე ქალს ვანიჭებ სრულს თავისუფლებას. ეს კიდევ ცოტაა, მე არას დროს არ დავარდევ იმის მყუდროებას. მე ვიცი, რომ იმას უყვარს ვიქტორ კარენინი. დეე უყვარდეს. მე კარენინს ვსთვლი მეტად უხალისო, მაგრამ კარგ და პატიოსან კაცად და ვფიქრობ, რომ ლიზა იმასთან, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე, ბედნიერი იქმნება. და... que le bon Dieu les bénissel მორჩა და გათავდა...

თავ. აბრ. კარგი, მაგრამ ჩვენ კი...

ფედიო. (აწუგეტინებს). —არც კი იფიქროთ, რომ ჩემში მოიპოვებოდეს ოდნავი გრძნობა იკვიანობისა. თუ რომ, მე წელანაც ვსთქვი, ვიქტორი მოსაწყენი კაცია მეტი, უკანვე მიმაქვს ჩენი სიტყვა. ის მშვენიერი, პატიოსანი, ზნეობიანი კაცია, თითქმის ჩემს სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს. პატარაობიდანვე უყვარდა ლიზა. შეიძლება ლიზასაც უყვარდა პაშინაც, როცა ის ჩემზე თხოვდებოდა. ასე ხდება ხოლმე. ყველაზე კაი სიყვარული ის არის, რომელზედაც არა იცი რა. ლიზას, ვფიქრობ, ის ყოველთვის უყვარ-

*) იხ. სურათებიანი დამატება, № 77.

ცოცხალი გვამი.



ფელია. (ივ. პეტროვიჩს) თუ გინდა შემოდი, თუმცა არა მცალიან და... შენ თუ გინდა, შემოდი. (მეოთხე მოქმედების პირველი სურათი).

და. მაგრამ, როგორც პატიოსანი დედაკაცი, ამაში თავის თავსაც კი არ უტყულებოდა. და ამით... რაღაც ჩრდილი აღდა ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას... მაგრამ, ამას თქვენთან რად ვაღვიარებ.

თავ. აბრ. გეთაყვათ, განაგრძეთ. მერწმუნეთ, ჩემთვის ყველაზე უსაჭიროესი სურვილია, სავსებით გავიგო თქვენი ურთიერთობა. მე კარგად ვესმის თქვენი გარემოება. მესმის, რომ ეგ ჩრდილი, რაც თქვენ მშვენივრად გამოთქვით, შეიძლება ყოფილიყო...

ფელია. იყო კიდევ და მე იქება იმიტომაც არ შემეძლო დავკმაყოფილიყავი იმ ოჯახურ ცხოვრებით, რომელსაც ლიზა მიზიარებდა; სულ რაღასაც ვეძებდი და ვერთობოდი. მაგრამ მე აქ თითქოს თავს ვმართლულობდე. არა მსურს და არც შემეძლია თავის გაშართლება. მე ვიყავი, — ამას თამამად ვამბობ: ვიყავი, — ცუდი ქმარი; ვიყავი ცუდი ქმარი, იმიტომ რომ ეხლა მე, ჩემის აზრით, დიდი ხანია აღარა ვარ ქმარი. და იმას სრულს თავისუფლად ვსთვლი. მაშასადამე, ჩემი პასუხიც თქვენს შუამავლობაზე ეს გახლავთ.

თავ. აბრ. კარგი, მაგრამ თქვენ კარგად იცნობთ თვით ვიქტორს და მის ოჯახს. იმისი განწყობილება ელიზავეტა ანდრეევანსთან ერთთავად იყო და არის პატივისცემით მოსილი და მორიდებული. ის მხოლოდ ლიზას ეხმარებოდა გაჭირვების დროს.

ფელია. დიახ, მე ჩემის თავაშვებულ ცხოვრებით ხელს ვუწყობდი იმათ დაახლოვებას. რა ვქმნათ? ეტყობა, ასე უნდა ყოფილიყო.

თავ. აბრ. თქვენ უწყით აგრეთვე იმის და იმის ოჯახს შეურყეველი მართლმადიდებლური რწმენა. ამას არ ვიზიარებ. მე ფართო ვუპურობ სავნებს. მაგრამ იმათი რწმენა მეყურება და ვეპყრობი პატივისცემით. მესმის, რომ იმისთვის და განსაკუთრებით იმის დედისთვის წარმოუდგენელია უჯვრისწეროდ ქალთან დაახლოვება.

ფელია. დიახ, ვიცი იმისი სულ... შეურყეველი, კონსერვატიზმი მაგ შემთხვევაში. კარგი, და ახლა რა უნდა იმათ? განქორწინება? დიღიხანია განვუცხადე,

რომ მზათა ვარ, მაგრამ პირობანი დანაშაულის მიღებისა და ამასთან დაკავშირებულ სიცრუისა მეტად საძქიმოა.

თავ. აბრ. მესმის და ვიზიარებ თქვენ მდგომარეობას. მაგრამ, მაშ, როგორ უნდა ეშველოს საქმეს? ვფიქრობ, რომ ასე შეიძლება მოეწყოს... თუმცა, თქვენც მართალი ხართ. ეგ საშინელებაა და მესმის თქვენი მდგომარეობა.

ფელია. (ხელს მაგრად წამოართმევს). — გმადლობთ, ძვირფასო თავადო. მე თქვენ ყოველთვის გიცნობდით პატიოსან და კეთილ ადამიანად. აბა სთქვით, როგორ მოვიქცე, საქმე როგორ მოვაგვარო? შედით ჩემს გარემოებაში. მე არა ვცდილობ ჩემს გაუკეთესობას. საზიზღარი ვარ. მაგრამ არის ისეთი საქმეები, რომელთა ჩადენა

დამშვიდებით არ შემეძლიან. არ შემეძლიან გულ და მშვიდებით ტყუილი ვილაპარაკო.

თავ. აბრ. თქვენი ვერაფერი გამიგია. თქვენ მოხერხებული, ჭკვიანი კაცი, მაგეთმა გრძნობიერებამ კეთილისადმი, — როგორ შესძელით მაგნიჩი გართობა, დავიწყება იმისი, რასაც თქვენგანვე მოითხოვთ? როგორ მიხვედით მანდამდის, როგორ დალუბეთ თქვენი სიცოცხლე?

ფელია. (თავს ძაღას ატანს და იმაგრებს ადგილებსგან მომდგარ ცრემლებს). — აგერ უკვე ათი წელიწადია, რაც მე ვატარებ ვზაბანეულ ცხოვრებას. და პირველი შემთხვევაა, რომ იმისთანა კაცმა, როგორაც თქვენა ხართ, შემეძრალებთ. ვებრალებოდი ამხანაგებს, თანამოქციფეთ, ქალებს; მაგრამ გონიერი, კეთილი კაცი, როგორც თქვენ... მადლობელი ვარ თქვენი. როგორ მიველი ჩემს დალუბავამდის? ჯერ ერთი, დვინო. დვინო, სწორედ რომა ვსთქვით, გემოსთვის კა არა, — რასაც კი ვაკეთებ, მე ყოველთვისაც ვკრძნობ, რომ ეს ის არ არის, რაც უნდა იყოს და მე ამიტომ მცხვენია. ეხლა თქვენ გელაპარაკებით და თან მცხვენია. და რაღა თქმა უნდა ყოფნა წინამძღოლად, ან ბანკში ჯდომა — მეტად მცხვენია, მეტად... და მხოლოდ მაშინ, როცა კაცი დაღეულია, სირცხვილიც გაივლის ხოლმე. ამასთანავე მუსიკა — ოპერა და ბეტხოვენი კი არა, ბოშები... ეს ისეთი ცხოვრებაა, რაც ენერგიას გიცხოველებს! აქ კიდევ ტურფა შავი თვალები, მომჯადოებელი ღიმილი და რამდენადაც ყველა ეს პირველად გამიტაცებელია, მით უმეტეს — შემდეგ მქენჯნავი.

თავ. აბრ. შრომა?

ფელია. ეგეც ვსცადე. ვერაფერი გამოვიდა. ვერაფერმა ვერ დამაკმაყოფილა. ეჰ, არა ღირს ჩემზე ლაპარაკი! თქვენი კი მადლობელი ვარ.

თავ. აბრ. მაშ, რა გადავცე?

ფელია. უთხარით, რომ როგორც იმათა ჰსურათ, ისე მოვიქცევი. იმათ ხომ სწადიათ, რომ დაქორწილებს ხელი არაფერმა შეუშალოს?

თავ. აბრ. რა თქმა უნდა.

ფელია. საქმეს მოვაწყობთქო, უეჭველად მოვაწყობთქო.

თავ. აბრ. როდისღა?

ფედია. მოიცათ. ვსთქვით ამ ორიოდე კვირაში. ხომ საკმაოა?

თავ. აბრ. (წამოადგება).—მაშ, მაგრე გადავსცემ.

ფედია. შეგიძლიათ. მშვიდობით, თბავდო, ერთხელ კიდევ გმადლობთ თქვენ.

(თავადი აბრეწყაოვი გადის).

გ ა მ მ ხ ვ ლ ა V.

ფედია მარტო.

ფედია. (დღესანს განუშებუდი ზის, იდამება).—კარგია, ძალიან კარგი. ასეც უნდა!.. ასეც უნდა! ასეც უნდა. ჩინებულა.

ფ ა რ დ ა.

მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ი ლ ი.

ტრაქტორის ცალკე კაბინეტში მსახურს შემოაყვას ფედია და ივან პეტროვიჩი აღექსანდრაფია.

გ ა მ მ ხ ვ ლ ა I.

ფედია, ივან პეტროვიჩი და მსახურა.

მსახური. აქ მოზმანდით, არაფერ შეგაწუხებთ; ქალაქ-საც ეხლავე მოგართმევთ.

ივ. პეტრ. პროტასოვი! მე შევალ.

ფედია. (დაფიქრებული).—თუ გინდა შემოდი, თუმცა არა მცალიან და... შენ თუ გინდა, —შემოდი.

ივ. პეტრ. შენ თუ გინდა პასუხი გაეცი იმათ მოთხოვნაზე. მე გეტყვი, თუ როგორ. შენსაფით არ მოვიქცეოდი. მე ყოველთვის ვლაპარაკობ მართალს და ვმოქმედობ გადაწყვეტით.

ფედია. (მსახურს) ერთი ბოთლი შამპანიური (მსახურა გადის).

გ ა მ მ ხ ვ ლ ა II.

ფედია და ივან პეტროვიჩი (ფედია ამოდებს და დასდებს დამბანას).

ფედია. ცოტა მოიცადე.

ივ. პეტრ. რა ამბავია? თავის მოკვლა გინდა? შეიძლება, ეგ შეიძლება. მესმის შენი მდგომარეობა. იმათ შენი დამცირება უნდათ და შენ კიდევ იმათ აგრძნობინე, თუ ვინა ხარ. შენ თავს დამბანით მოიკლავ და იმათ კიდევ—სულგრძელობით.

მესმის შენი მდგომარეობა, მე ყველაფერი მესმის იმიტომ, რომ გენიოსი ვარ.

ფედია. დიან ბატონო, დიან. მხოლოდ... (მსახურს შემოაქვს ქაღალდი და სწერ-კაღამი).

გ ა მ მ ხ ვ ლ ა III.

ფედია, ივან პეტროვიჩი და მსახურა.

ფედია. (დამბანას ხელსაწმენდს წაფარებს).—ბოთლი გახსენ. აბა, დავლიოთ. (სვამენ). (ფედია სწერს). ცოტა დაციადე.

ივ. პეტრ. ეს შენს... დიდ მგზავრობას გაუპარჯოს! შენ ხომ მაგებზე მალა ვდგევარ. ხელს არ შეგიშლი. საცოცხლეც და სიკვდილიც გენიოსისათვის სულ ერთია. სულსა ვლევ სიკოცხლეში და ვსიკოცხლობ სიკვდილში. შენ იმიტომ მოიკლავ თავს, რომ იმ ორადმიანს ებრალებოდე. მე კი,—მე კი მოვიკლავ თავს იმიტომ, რომ მთელმა ქვეყნიერებამ შეიტყოს, თუ ვინ დაჰკარგა. მე არ დავიწყებ ფიქრს, ყოყმანს ავიღებ (დამბანას იდებს), ტრახ,—და მზათაა. მაგრამ ჯერ კიდევ აღრეა (უკანვე სდებს დამბანას). და მე დასაწერიც არაფერი შექნება, ყველამ თითონ უნდა გაიგოს... აი.

ფედია. (სწერს) ცოტახანს დაციადე.


ივ. პეტრ. შესაბრალოა ხალხი! ფათურობენ, ფუსფუსებენ. არ ესმით კი,—არაფერი არ ესმით. შენზე კი არა, ისე, ჩემს აზრს ვამბობ. ან კი რა არის საჭირო კაცობრიობისათვის? ძალიან ცოტა: ღირსეულად დააფასოს თავისი გენიოსები. პირიქით, ხალხი კი ყოველთვის აწამებდა იმათ, სდევნიდა, სტანჯავდა... უკაცრავად! მე არ გავხდები თქვენი სათამაშო ნივთი თქვენს ნამდვილ სახელს გამოვამკარავებ! აა-რა! პირმოთენო!

ფედია. (მარხება წერას და კითხულობს).—მომშორდი, გეთაყვა.

ივ. პეტრ. მოგშორდე? მაშ მშვიდობით. მე შენ აღარ შეგაფერებ. მეც მაგასვე ჩავიდენ, მაგრამ ჯერ კიდევ აღრეა. მხოლოდ მინდა გითხრა შენ...

ფედია. კარგი, კარგი, მაგას შემდეგ მეტყვი, ახლა კი აი, რა, მეგობარო: გეთაყვა, ეს გადაეცი სახლის პატრონს (აწოდებს ფუფს) და ჰკითხე ჩემს სახელზე წერილი და ამანათი ხომ არ არის, გეთაყვა.

ს ო ც ხ ა ლ ი გ ვ ა მ ი.



კარენანი. ფედორ ვასილიჩი სადღა? რა გიპასუხებს? ვაზნენხენსკა. მითხრეს, გუშინ დილით გამოვიდა, ეს წერილი დასტოვა და აღარ დაბრუნებულა. (მეორე შიქ. მეორე სურათი).

ივ. პეტრ. კარგი. მაშ ხომ დამიცდი? კიდევ დიდათ საყურადღებო რამ უნდა შეგატყობინო. ისეთი რამ, რასაც ვერ შეიტყობ არამც თუ სააქაოს, არამედ საიქაოსაც იმ დრომდე მაინც, ვიდრე მე იქ არ გავჩნდები. მაშ, ეს სულ გადავცე?

ფედია. რამდენიც საჭირო იქნება (ივ. პეტრ. გადის).

გ ა მ მ ხ ვ ლ ა IV.

ფედია მარტო.

ფედია. (დამშვიდებით ამოიხსნება, კარს მოჭკეტავს, აიდება დამბანას, საფუთქედზე მიიდება, შეკრთება და წუნარად

უკანვე ხედს ჩამოუშვებს. ბურტყუნებს). — არა, არ შემოდლიან, არ შემოდლიან, არ შემოდლიან! (კარს უგაკუნებენ). ვინ არის? (კარს იქიდგან მასის ხმა ისმის: „შე ვარ“).

ფედია. ვინ შენ? ახ, მაშა... (კარებს უღებს).

გ ა მ თ ხ ვ ლ ა V.

ფედია და მაშა.

მაშა. ვიყავი შენთან, პაპოვიანთსა, აფრემოვიანთსა და ბოლოს მივხვდი, რომ აქ იქნებოდი. (დაშინებულად შენიშნავს). რა კარგია! აი სულელი! მართლა რომ სულელი! ნუ თუ შენ, მართლა?..

ფედია. არა, ვერ შევძელ.

მაშა. მაშ, მე აღარა ვარსებობ, შე ურჯულო! არც კი შეგებრალბებივარ?! ახ, ფეოდორ ვასილიჩ, ცოდოა, ცოდო! ჩემის სიყვარულისთვის...

ფედია. მინდოდა ისინი გამენთავისუფლებინა, დავირდი. ტყუილი კი არ შემოდლიან.

მაშა. მერე, მე?

ფედია. შენ რა? შენც გაგანთავისუფლებდა... განა შენთვის კი კარგია ჩემთან ტანჯვა?

მაშა. სჩანს, უშენოდ სიცოცხლე არ შემოდლიან.

ფედია. აბა, ჩემთან რა ცხოვრებაა? შენ ცოტათი წამოიტრებდი და განაგრძობდი ცხოვრებას.

მაშა. სრულიადაც არ ვიტრებდი! ეშმაკსაც წაუღიხარ! როდესაც შენ არ გებრალბები. (სტირის).

ფედია. მაშა! შეგობარო. მე მინდოდა მხოლოდ, რომ უკეთესად მოწყობილიყო საქმე.

მაშა. უკეთესად შენთვის.

ფედია. (გადიშვებით). — ჩემთვის როგორი და უკეთესობა იქმნებოდა, თუ კი თავს მოვიკლავდი?

მაშა. უეჭველია უკეთესი იქნებოდა. აბა რა გწადიან? სთქვი მაინცა.

ფედია. როგორ თუ რა? ბევრი რამ.

მაშა. მაინც რა? რა?

ფედია. ერთი რომ საჭიროა დაპირების შესრულება. ეს უმთავრესია და საკმარისიც. ვიცრუო და ჩავიღინო ყველა ის სისაძაღლე, რაც კი საჭიროა განქორწინებისთვის, არ შემოდლიან.

მაშა. ვთქვით ეგ საზიზღრობაა. მე თითონ...

ფედია. მერე მართლაც საჭიროა იმათი განთავისუფლება, — ცოლისაც და იმისიც. ისინი კარგი ადამიანები არიან. რად უნდა იტანჯებოდნენ? ეს — მეორე.

მაშა. შენს ცოლს კი სიკარგე ცოტა ეტყობა, რაკი თავი მივანება.

ფედია. იმან კი არა. — მე მივანებე.

მაშა. ჰო, კარგი, კარგი. სულ შენა. და ის კი ანგელოზია. კიდევ რა?

ფედია. კიდევ ის, რომ შენ კარგი, ტურფა გოგონა ხარ, — მიყვარხარ და თუ ცოცხალი დავრჩები, მაშინ შენც დაგლუბავ.

მაშა. ეგ კი შენი საქმე არ არის. მე თითონ ვიცი ჩემი თავისა, სადაც დავიღუპები.

ფედია. (ამაიხსნებს). — უმთავრესი კი, უმთავრესი... რაა ჩემი სიცოცხლე? განა ვერა ვხედავ, რომ მე დაღუპული ვარ, აღარაფრად ვვარგვივარ? ყველასთვის და ჩემი თავისთვისაც მძიმე ტვირთი ვარ, როგორც მამაშენმა სთქვა. მე აღარ ვარვივარ...

მაშა. ყველა ეგ სისულელეა! მე შენ მოგეწეები და მეტი არაფერი, აღარ მოგწოდებ: და თუ შენ ცუდად სცხოვრობ, სვამ და ლოთობ... შენ ხომ ცოცხალი ადამიანი ხარ! თავი მიანებე და მეტი არაფერი.

ფედია. თქმა ადვილია.

მაშა. და ასეც უნდა მოიქცე.

ფედია. აი, შენ რომ გიყურებ, ასე მგონია ყველაფერს მოვახერხებ მეტი.

მაშა. მოახერხებ კიდევ. ყველაფერს შესძლებ. (წერადს დაიხსნავს). ეს რაღაა? იმათა სწერდა? რასა სწერდი?

ფედია. რასა ვსწერდი?.. (წერადს აადებს და უნდა რომ დახიოს) ეხლა საჭირო აღარაა.

მაშა. (წერადს გამოსტაცებს). — იმას სწერდი, რომ თავი მოიკლა? ჰო?

ფედია. ჰო, რომ მე აღარ ვიქმნები.

მაშა. მომეცი, მომე, მომე! შენ არ წავიკითხავს „რა ვქნათ“?

ფედია. წამიკითხავს, მგონი.

მაშა. ის მოსაწყენი რომანია, მაგრამ ერთი რამ კი კარგია, ძალიან კარგია. იმას რა ერქვა? რა ხმანოვმა... აილო და თავი მოაჩვენა, რომ ვითომ დაიხრჩო. შენც ეგრე... ცურაობა არ იცი?

ფედია. არა.

მაშა. მაშ, ეგრე. აქ მომეცი შენი ტანისამოსი. ყველაფერი, საფულე ქისაც.

ფედია. მერე?

მაშა. მოიცა, მოიცა, მოიცა! სახლში წავიდეთ. ტანისამოსს იქ გამოიცვლი.

ფედია. ეგ ხომ სულ მეტია.

მაშა. ძალიანაც კარგი! საბანაოთ წახვედი, ტანისამოსი დაგრა ნაპირზე. ჯიბეში კიდევ ქისა და ეს წერილი.

ფედია. კარგი და მერე?

მაშა. მერე? მერე წავალთ სადმე და მშვენიერად ვიცხოვრებთ.

გ ა მ თ ხ ვ ლ ა VI.

ფედია. მაშა, შეპოლის იფან ჰეტრაფინა.

ივ. პეტრ. ერთი ჰა!.. დამბაჩა რაღა იქნა? მაშ, იმას წავიდებ.

მაშა. წაიღე, წაიღე და ჩვენ კი სხვაგან მივემგზავრებით.


ფ ა რ დ ა.

(შემდეგი იქნება)

გ. ახალციხელი.



რსმალათ-იხალიის რბი



სამბლიცხამუსის კარიკატურა.